



№ 1-67



ურკელი-კვირეული უფრნალი

№ 16

თბილისი გეორგი



ვაკე 10 ქან.

მოითხოვთ პოლარატიული რეკ

„ლ ი ლ ტ“

მერძევეთ ამსანაცობა „ლილო“ თავისი ნაძვილი და ჭირიქური რძით მოიპოვდ კარგი ბაზარი და ახლა გეართოვების თავის საქმეებს, რთაც შეძლება მიუცი მხურულოთ მიაწოდოს საუკუთესო რძე ბინაზე, ცხლები დაბუჭილ ჭურჭელით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ოდგილებს: რეზაქცია „კლდე“ გაბაევსკიй პერ. № 3. და ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანიან: ბარატინსკაი 5.

ცრანგულ-პავპასიური

სავაჭრო ჩა სამრეწველო ბიურო

„ლ ი ლ ტ“ პარიზი

იძლევა ურველ გვარ ცნობას,

ჰეიდის მაღნეულობას და ს. =

ადრესი: Paris Faubourg Montmartre 10

33/037
5-67

№ 16

14 აპრილი 1913 წ.



უოველ კვირეული საზოგადო ეკონო-

მიური და სალიტერატურო შურალი

რედაქცია ლია 10 — 3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტი: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე გ ი: დასდებელი აღდგომისანი. — ი. მჭედლიშვილისა. ჯვარცმული ქეშმარიტება. — ქართლელისა. წარსელი, აწმეთ და მომავალი ხიზნობისა. — ალ. უიფლიძისა. უკანასკნელი ამბები. მცირებამ განცხადება. — კაკისა. შთოა რესთაველი. — შ. ამირეჯიბისა. შიმქრალი სულის ადსარება. — ლ. კასრაძისა. ქართულ კულტურის მოუწარელთა გრებაზედ. — რაესი.

დასდებელი აღდგომისანი

(მისამართი შიმქრალ მოდრეგილისა *).

კითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული

შემდგომად მრავალთა ეამთა და წელთა ვპოვეო.

იოვანე ბერბა

დღეს იღმობრწყინდა საფლავიდან უკვდავი ღმერთი
და განაქარვა სოფლის ბნელი და ჯოჯოხეთი.
მისა აღდგომას კეშმარიტსა იგლოვს სიკვდილი,
დამარცხებითა მიქცეული, ლონე-მიხდილი
და იხარებენ სიმართლითა აღამის ძენი:
ქრისტემ განახვნა კვესენელისა და ბულნი ბკენი,
მას შინა მყოფნი განანათლა ზე ღვთაებითა
და აღდგა მკვდრებით წესამე დღეს ბრწყინვალებითა...
ვაქებდეთ ნაოელს უჩრდილობელს, დაუღამებელს,
ვაქებდეთ სიბრძნეს ბუნებისას, წყალობამფრქვეველს,
საუკუნეთი ღმერთსა ქრისტეს — მზეს სიმართლისას,
შეუწერელსა და შემოქმედს თვით ბუნებისას!

თვით უვნებელმა ღვთაებითა, ივნო კაცებით

*) ქართველი სასულიერო მეოსანი მე-Х-ე საუკუნისა.

და მოგვევლინა ხორციელი ციურ განგებით,
ვინც შეიწყნარა აღამიანთ შეცოდებანი
და დაიწნიხა ჯვარსა ზედა, ვითა მტევანი,
უკვდევის სისხლის მომცემელი მოკვდავ კაცთვის
და მოგვამზადა განწმდითა კაცნი კათათვის...
ნულარ იქადი, პოი ბძლავრო, ბოროტო სულო,
შერისძიებად აღამიანთ ზედა მოსულო,
რომელმან განირთხ ბრჭალი შენი ხელმწიფებითა,
წარწყმიდე სულნი აღამისნი დამონებითა,
განაღე პირი შთანთქმად ყოვლთა უაბადებულთა,
რათა შეიცვა სიბნელისა შენთა ჯურლმულთა.
ძრწოდე, ბელიარ, განდგომილო ზე არსისაგან!
დაემხო მიწას მთავრობანი შენნი ღვთისაგან!
აღარ გაქვს ძლევა, ჯოჯოხეთო, გაუძლომელო,
რადგან მოკვდავად შეიწყნარე წიალთა შენია
უკვდავი ღმერთი — აღამიანთ ტკბილ სამლოცველო—
და სიკვდილითა სძლია სიკვდილს ცხოვრებად ჩვენდა!



დღეს გავეცანით განუზომელ სიბრძნესა ღვთისას
და ვეთაყვანეთ საიდუმლოს სულისა მზისა!..
ამაო არის საშეებელი და დიდებანი,
ამაო არის სიცოცხლისა განდიდებანი,
რამეთუ მოკვდავთ იმიერით სოფლით განსვლისას
ჰქრებიან, ვითა ყოვლის ჩრდილი მზისა ჩასვლისა...
დღეს ვხარობთ... ვაქებთ ქრისტე ღმერთსა — სიმართლის მოძღვარს
და თაყვანსა; ვცემთ მორწმუნები მეორედ მოსვლას!

ი. მვედლი შვილი

ჯ ვ ა რ ც მ უ ლ ი ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა

ჩვენს დროში არც ერთი სოციოლოგი არ ზომი? ეს კითხვები საუკუნეთა აზროვნების კარის მოიპოვება, რომელიც მისწრაფების მთავარ საგნად მსოფლიო ბედნიერებას არ აცნადებდეს. ნართლაც, ვისაც შემთხვევა ჰქონია აღამიანის შესწავლისა, ადვილად დაინიხავდა, რომ ეს მეტად რთული და „ქმნილებათა გვირგვინი“ არსება სკეოვრობს ბედნიერებისათვის, თავალებული მისდევს მის ლანდს, როგორც სიაპის აღმძერელ სიმბოლოს, რათა დღიურ ვარამს და ნაღველს როგორმე თავი დააღწიოს. მაგრამ სავალილო ის არის, რომ ამ აბსოლიუტურს მტკიცების ყოველთვის თანა სდევს ირანაკლებ თავსამტვრევი კითხვა; თუ რა არის ბედნიერება? რა ელემენტებისაგან შესდგება ივი? რაზეა დაფუძნებული? სად შეიძლება ვიპოვოთ მისი სა

ზომი? ეს კითხვები საუკუნეთა აზროვნების კარის ბჟეზე დიდი ხანია რაც შოხაზულია, მაგრამ შესაფერი პასუხი ვერც ერთმა ფილოსოფოსმა, ვერც ერთმა შეცნიერმა ვერ მოგვცა. საბოლოოდ საქე იქნიბამდინ მივიდა, რომ შოპენპაუერისა და ჰარტვინისაერთ, ბედნიერებას შეოლოდ ტანჯვის ფიალიში ხედავდნენ. „ცხოვრება ბოროტებაა,“ ამბობდა პირელი, იგი მსოფლიო მწერალების ბუნებრივი ისტორიის წარმოადგენს, დაუსრულებელს ტანჯვის!“

და მს სიტყვებს „შეუმცნებელ ფილოსოფიის“ ავტორი ჰარტმანიც აღასტურებდა, რომ „შეუძლებელია ცხოვრება ტანჯვა არ იყოს!“ და მართლაც: მსოფლიოში ამაოდ დაიწყებთ ბედნიერ აღამიანის ძებნას. აბსოლიუტური მონობა, ძალდა-

ტანებული შრომა, მცირე ხელფასი, ათასგვარი უბედურობა, გლოხავობა, ციხე, პროსტიტუცია, შიმშილით სიკვდილი და სხვა და სხვა, ან ის ბედი, რომელიც წილად ჰქომია დაბალ კლასსა! უფლებათა შეზღუდვა, მოუსვენრობა, ნაღველი, მეტოქეობა, კოტრობა, დანგრევა, ადამიანურ უფლებათა დაქარგვა და უუფავებოთა შორის ჩარიცხვა — აი საშუალო კლასის ბედის კარნაბი! მაგრამ არ იფიქროთ, ვითომეც მაღალი კლასები განთავისუფლებულნი იყვნენ სოციალურ უბედურობათაგან და ყოველ შემთხვევათა გარეშე დაზღვეულ იყვნენ, ვითომეც შეუძლებელია მათ ლაქვარდ კამარის მწერის ზეწარი გადაეკრას ელეის მტყორცნელი მქუხარე ღრუბლებისაგან. არა! წოდებით, განათლებით თუ სიმღიდრით გაღალებულთ და უპირატესობა მოხვეჭილთ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე უხდებათ ბრძოლა ათას გვარ ტანჯვასთან, რომელიც შეკავშირებულნი არიან მატერიალურ პაუპერიზმთან. ვინ დაგვარწმუნებს, რომ დღევანდელი მათი ფუფუნება ხვალ მტვრად არ გადაიჭუვა! ვინ დაგვარწმუნებს, ვითომეც ბედნიერება არც თუ ამ მდიდრების, სწავლულთა თუ ამა ქვეყნის ძლიერთა ბედრი არის! ბედნიერი შეუძლებელია იყოს ის, ვისაც კალმით თავისუფალი მუშაობა არ შეუძლიან, არ შეუძლიან ერთი სტრიქონი დასწეროს ისე, რომ არ შესდგეს, საზოგაზოებრივ აზრს ანგარიში არ გაუწიოს, არ ებრძოლოს ათასგვარ უგუნილებას, უსირცხვილობას! ბედნიერი არ შეიძლება იყოს ის, ვინც გონიერივ იღწვის და თვალწინა ჰქედავს, თუ ვით მახინჯდება გრძნობა, როგორ კასტურ შიმართულებას იღებს საღი გონება, ანუ აზრი როგორ ემწყვდევა ვიწრო ფარგლებში, რომლებიც დაუხლართიათ არა რაციონალურ სისტემის წყალობით! ბედნიერი არ შეიძლება იყოს მხარეარი; რომელსაც გრძნობა მშვენიერებისა ძალაუნებურად ებლალვის ლიქიურ ესთეტიკის ხილვით, მოსყიდულ კალმის მიჩევებით, დამონებულ სიცების სძენით, შეურაცხულფილ საკვეთელის ხელში აღებით! ბედნიერი არ შეიძლება იყოს ის, ვინც მეცნიერებათა უმაღლეს სფეროში დაპფრინვას და ვის ფერხთა წინაშე კი ჰქედავს უფერულ ბრძოს, რომელიც უმეცრების უფსკრულს ჩაუნთქვას და ოდნავი დელვაა საჭირო, რომ გადმოსკდეს თავის ნაპირებს და ერთიანად გაპქელოს ყოველგვარი სიწმიდე! რავდენი უნახავს კაცობრიობას შეგინებული გენიოსი, როდესაც ის აღმოჩენათვის

უგუნურების სიცილ-ხარხარი და ქვა და გუნდა თავს დაურყიათ!.. დასასრულ, ბედნიერი მეტოქეობა იყოს ის, ვინც რომ თავს იმტკოდებს თასგვარი ლტოლვილებით და ერთხელას უკარის უკარის მართალია მის მეუბრის მხურვალედ ხელის ჩამორთევა, რომელიც მასში ოქროთი გატენილ ქისის მეტს არასა ხედავს, ანუ იმ ქალის ღლერსი, რომელიც სარეცელია ეშლება, ვნებათ ქარით სურს დაათროს, მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან ელის თვის ოცნების ახდენას! — ფუფუნებით ცხოვრებას. არა, ცხოვრებამ არ უწყის ბედნიერება, რომელიც ცრუ მორალს კაცლუცი სახით დაუხატნია! სინამდვილე მხოლოდ უდაბნოს გვიშლის, უბედობის უდაბნოს, საღიც არც ერთი თახისი არ მოიპოვება, რომ აღამიანს შეეძლოს შეჩერება, დასვენება, მტანჯველ ფიქრებისაგან განთავისუფლება! ასე არის დღეს, ასე იყო გუშინ, ასეთი რეი შეკონდა დადებული ბედნიერების საუკუნეთა განმავლობაში! კვნესა და მწეხარება, ცრემლი და მოსქმა, ან თავდავიწყებული განგაში, აი სურათი სინამდვილისა, აი მსოფლიოს სახეობა! უგუნურება და საშინელება, უმოწყილეო გლეჯა-ფლეთა აი ის დევიზი, რომელსაც თავ-შეუკავებლად მისდევს კაცობრიობა!

მაგრამ მოხდა სასწაული: და ამ ორიათასი წლის წინად ქვეყნიერებას მოევლინა, ჰეშმარიტად, ღმერთ-კაცი იესო, რომელმაც სიყვარულის თეთრი ილამი იღმართა, და ტანჯულ კაცობრიობას შევის ნანად მოესმა დარიბ ნაზარეველის ხმა.

— პოსანნა, პოსანნა დავითის ძე! პოსანნა ღმერთ კაცე!

შესძინეს მოძლვარს და სულ განაბული ყური მიაპყრეს მის საოცარ სიტყვებს, რომლებიც ვარდის სახით იფურჩენებოდნენ: „შეიშრეთ ცრემლები მტვერსა და ვაკლაბში ქედ წახრილნო. ნუ შეგვიწუხვნიათ შუბლი, მოცედით ჩემთან და მე შეგვიწყალებთ თქვენ!“

უნავთსაყუდრონი, სასომიხდილნი, ქვეყნიურ ღრიანცელით ქინც მოწყვეტილნი ერთგვარად აღფრთვანდნენ, სიყვარულსა და შშვიდობის იხარებდნენ ერთ ურთს, ვით ჰეშმარიტების გამოჩინების! მაგრამ ეს იყო წუთით. გაიფანტა თავდავიწყების ზმანება და ლეგენდალური ღმერთკაცი ჯვარს იცვა და მასთან ერთად დაასაფავა ქეშმარიტება. იგივე უგუნურება, იგივე ღრიანცელი, იგივე გლეჯა-ფლეთა, იგივე ცრემლით დართვილული გლოვის სამრეკლო... ბედნიერება ქიდერიულ ცნებად გარდიქმნა. ჩვენ გვჯერა მისი არსებობა, ჩვენ მას

დავეძებთ! მხოლოდ წელიწადში ერთხელ, რომ სასოწარკვეთილებას დავძლიოთ, თავდაციწყებით პირს ვუკრივთ ტანჯვის მოხსნილ იარას და, განურჩეველად სოციალური მდგომარეობისა, ერთგვარის აღფრთოვანებით ვევებებით არ არსებულ ძმობა-ერთობის და სიყვარულის აღდგომის, მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე დღეს ღმერთკაცთან ერთად კეთილ სიტყვებით და ლიტანით კისკენ გავამგზავროთ, ანუ ჩავმარხოთ საუკუნოების განმავლობაში ისედაც მრავალ ტანჯული და ჯვარცმული ჭეშმარიტება!..

ქართლელი.

წარსული, აწმეთ და მომავალი ხიზნობისა

(გაგრძელება: I ქარისა)

დამოუკიდებელ საქართველოში, სადაც ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული კინონი მეტობდა, ხიზნობის მარტო პირადად თავისუფალი კაცი არ ეტანებოდა. ხიზნობით იოლიდ მიღიოდა ხშირად ეკლესის ყმა, ანუ საეკლესიო კაციც. რავი ეკლესის საქმარისი მამული არ მოეპოვებოდა ყმის დასაპურებლიდ, მისი ყმა იძულებული ხდებოდა აბარგულიყო ეკლესია - მონასტრის მამულ-დედულიდან და შექმნებოდა დიდ მემამულეს. მაშასადამე ეკლესის ყმის ხიზნობასაც მარტოდ-მარტო ეკონომიური ანგარიში უდევს სარჩევლად. ეკლესიაც თავის ყმაზე ხელს როდი იღებდა. მისგან წასული და სხვის მამულზე დახიზნებული კაცი ისევ ეკლესის ყმად რჩებოდა. წოდებით, ძველებურად. საეკლესიო ყმად ითვლებოდა, ხოლო ახალ გარემოების წყალობით რომ სხვისა მამული დაიკირა სამუშაოდ დროებით, ვალით, ოუ უფადოთ, ამ შემთხვევაში სულ ერთია იგი ხიზნად გადაიქცა და სახიზნო ჩვეულების და აღათის მფარველობაში მოჰყავა. ამ კატეგორიის ხიზანი, მართალია, ყმაა ეკლესია-მონასტრისა, ესე იგი ისეთისავე ფეოდალისა, როგორიც იყო მამულის პატრონი თავადი, ან აზნაური, მაგრამ განსხვავება შინოც დიდია ყმისა და ამ ჯურის ხიზნის შორის. იგი მემამულის წინაშე პირადად თავისუფალია, როგორც წოდებით თვით თავისუფალი ხიზანი გლეხი. საეკლესიო ყმა-ხიზანი მემამულეს პირადს სამსახურს, ბატონ-ყმურს, არ

უწევს. ბატონ-ყმურ სამსახურს თუ მთხოვთხოვს მემულე, ადგება ხიზანი და სხვაგან წიგვ/ასე რომ მისი მოვალეობა და სამსახური აქაურ ბრწყაზე ისაა, რაც შეეფერებოდა მაშინდელ ფლობის მეტებით გამულით დაქირავებას იმ პირობის ფარგალში, რომელიც დასჯეს მემამულემ და იხლად შეხიზნულმა გლეხმა.

მესამე ჯურის ხიზანი წარმოშობა თვით ბატონ-ყმობაში. ზოგს მემამულეს ყმა ბლომად ჰყავდა, მაგრამ მამული ცოტა ჰქონდა. ისეთს გარემოებაში ყმა იძულებული იყო სხვაგან გადავარდნილიყო და ეშოვნა მამული, რომ ცოლ-შვილიც გამოეკვება და ბატონისთვისაც ბატონ-ყმური სამსახური გაეწია. არც თვით მრავალყმიანი და მცირე მამულიანი ბატონი უშლიდა ყმას სხვაგან წასულიყო და დიდ მამულიან ბატონისაგან აელო მამული სარჩენად. ეკონომიური ინტერესი მებატონისა მოითხოვდა, რომ გზა არ შეეკრა უმამულო ყმისთვის; შინ შიშმილისა და წყურვილის მაგიერ ისეთი ყმა უცხო ილაგის ნაშოვნ დოვლათიდან ბატონს პირნათლად ემსახურებოდა. ბატონ-ყმობის ღრმას თვით ერისთვებს 3742 კომლი ყმა ჰყოლიათ, მაგრამ რაკი საქმარისი მამული არა ჰქონიათ, 500 კომლი კაცი დაბინავებული სხვა მებატონეთა მამულზე, როგორც ხიზნები. მესამე ჯურის ხიზანიც, როგორც პირველისა და მეორე კატეგორიისა, სახიზნოდ ალებულ მამულის პატრონის წინაშე პირადად თავისუფალი იყო და ბატონ-ყმურ სამსახურს არ უწევდა. ბატონ-ყმური ანგარიში ძველ ბატონთან ჰქონდა, ხოლო სახიზნო მამულის პატრონს ემსახურებოდა, როგორც მამულის პატრონს. თუ კი ძველს ბატონს მამული შეემატებოდა რომელიმე მიზეზის გამო, არხეინად თყერებოდა ისეთი ხიზანი მხალის ბინიდან და ძველს ფუძეს დაუბრუნდებოდა. რაც უნდა იყვეს, სხვისა კარზე ცხოვრება სამძიმო იყო მაშინდელ დროს, მით უმეტეს, რომ ქართლელს დიდად ემძიმებოდა სახლ-კარის მოშლა, მაძა-პაპის საფლავის და აღვილობრივ ხატის დატოვება.

ხიზნების ბედედ და სამშობლოდ ითვლება ქართლი, დღევანდელი გორისა და დუშეთის მაზრის. დღეს თუ საღმეა გამწვავებული ხიზანთა საქმე, ის სწორედ აქ, ქართლში. კახეთის ხიზნობა სახსენებელადაც არა ღირს. თოთო-ორთოლა კომლი თუ კივკივებს საღმე, თორებ მათის არსებობის ამბავი არავის მოეხსენება. არც არავის ისინი აწუხებენ და არც არავინ მათ ავიწროებს. შედარებით

საქართვის რიცხვია ხიზნებისა იმერეთში, განსაკუთრებით სამეცნიელოში (სამეცნიელოს თავადის დადგმულებში), მაგრამ იქაც ხიზნების საქმე ისე არ გამწვავებულა და არ ამოტივტივებულა ცხოვრების პირზე ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, როგორც ქართლში.

ხიზნების უზომოდ გამრიცვლების მიზეზად ქართლში იმას ასახელებენ, რომ იქ სახაზინო და საკლესიო მამული ცოტა იყოვო, ხოლო ხალხი მრავალით. იქნება ასეთი განმარტება ხიზნობის სიუხვისა ქართლში მართალიც იყოს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნამდვილი ისტორიული ხიზანი, თვით ცხოვრების სილრმეში აღმოცენებული, ბატონ-ყმობის გადავარდნამდე ქართლშიაც ცოტა იყო. 1885 წელს თ. იოსებ ციციშვილმა განაცხადა მთავარმართებლის საბჭოში, რომ ციციანი დიდის მთა-ბარის პატრიონები ვართ და კარგაბლობად ხიზნებიც გვყავსო, 60 კომლზე მეტიც. მაშასადამე თუ თოხმოცდაათიან წლებში მთელ ზემო და ქვემო საციციანოში 60 კომლი ხიზანი იყო, სამოციან წლებში ბევრი-ბევრი 40 კომლი ყოფილიყო. საქართველოს თვით-არსებობის დროს, თუნდ შემდეგაც, ვახტანგ მეფის კანონების მოქმედების ხანაში, 1841 წლამდე, მათი რაოდენობა ისე მცირე იქნებოდა, რომ საციციანოს უშველებელ მთა-ბარში დიოგენის ფარნითაც გასჭირდებოდა მათი პოვნა. დღეს კი მარტო თომა ციციშვილისეულ მამულში 377 კომლი ხიზანია.

ხშირად სახაზინო კაციც მიღიოდა ხიზნად. მეოთხე ჯურის ხიზნობას სწორედ ეს სახელმწიფო გლეხნი შეადგენდნენ. მიზეზი სხვისა კარზე და მამულზე ცხოვრებისა იგივეა, რა მიზეზიც ხიზნობას აქებნინებდა პირველ სამის ჯგუფის გლეხ-კაცობას, უმამულობა, ან მცირე მამულიანობა ხაზინისა. სახაზინო უწყებას, ან ხაზინას დღეს დღი მამულები აქვს, მაგრამ საცხოვრებლად გამოუსადევარია. მთა-გორიანი ადგილები ხაზინისა, საღაც მარტო მომთაბარობა შეიძლებოდა, ესე იგი ზაფხულში საქონლით და ცხვრით მთაზე, იალაღზე ასვლა, ხოლო ზამთრობით ბარში დაბრუნება, აგრე რიგად ვერ მიიზიდავდა უმამულო ხალხს. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ძველად დიდი შიშიანობა იყო განაპირა და მთა-გორიან ადგილებში. რადგან ბარში სამეურნეოდ გამოსადევი ადგილ-მამული ხაზინას ცოტა ჰქონდა, ამის გამო სახაზინო გლეხიც იმულებული იყო დიდ მემამულეს შეპხიზენოდა. სახაზინო კაცი, ხიზნად შესული, ისეთსავე ურთისობას მარტო და გადასახადისა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა პირობებში მოუხდა გლეხ-კაცს ხიზნობა. მაგრამ რაკი კაცი ჩაეხინა შამულის პატრიონს, რაკი შამულის პატრიონი და ხიზნობის მებნელი შესთანხმდნენ გარდასახადის რაოდენობაზე, შეუძლებელი იყო გარდასახადის გადიდება. შეცვლა პირობისა, სიტყვის გატეხა, აბუჩად იგდება ხიზანთა ჩვეულებისა პროტესტს იწვევდა ხიზნისას და საქმე სამედიატოროდ გახდებოდა ხოლმე. დამახასიათებელი და ნიმანდობლივი თვისება ჩვენის ხიზნობისა ი სწორედ ეს უცვლელობა და შეურყევლობაა ერთხელ ნაკისრის გარდასახადისა, ბეგრისა და მოვალეობისა.

ერთობას იჭერდა შამულის პატრიონთან, როგორც სხვა ჯურისა და კატეგორიის ხიზანნი. შისი მფრიველი და პატრიონი იყო ადათი და ჩვეულებელები.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, სხვა-ა-შეს ადგილის სხვა და სხვა გადასახადი ედო ხიზანს. ზოგი მარტო ლალა-კულუხის იხდიდა, ზოგი კიდევ ლალა-კულუხის გარდა სააღდგომოდ და საშობაოდ ძლვენს მიართმევდა მამულის პატრიონს. იყვნენ იმისთანა ხიზნებიც, რომ მუშით და გუთნით ეხმა რებოდნენ მამულის პატრიონს, ზოგნი კიდევ უულსაც იხდიდნენ. ხიზანთა ჩვეულობაში ზოგიერთი ბეგარა და გადასახადი დღეს სიცილის მეტს არას გამოიწვევს. მაგალითად იყვნენ ისეთები, რომელნიც მამულის პატრიონს უნდა პხლებოდნენ ცხენით, როცა იგი ქალაქს წაბანდებოდა, ან კიდევ უზანგი დაეჭირა ვამულის-პატრიონისთვის, როდესაც იგი ცხენზე შებანდებოდა. არც დალა, არც კულუხი; არც ძლვენი, არც გუთნითა და მუშით დახმარება გარდა უზანგის დაჭერისა, ან ცხენით თანხლება, სხვა ბეგარა და გადასახადი არ ედო ისეთს იხირებულს ხიზანს. რა ნიადაგზე აღმოცენდა ისეთი ახირებული გადასახადი, ამის გამოძიებას არ შეუდებით. უნდა ვირწმუნოთ მხოლოდ, რომ მოვალეობა ხიზნისა მამულის—პატრიონის წინაშე მრავალფეროვანი იყო, ზოგან ცოტა, ზოგან მრავალი, ზოგან სუბუქი, ზოგან მძიმე და ზოგან კიდევ სასაცილო, როგორც კაც მაგალითად უზანგის დაჭერი. ცვალებადობა გადასახადისა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა პირობებში მოუხდა გლეხ-კაცს ხიზნობა. მაგრამ რაკი კაცი ჩაეხინა შამულის პატრიონს, რაკი შამულის პატრიონი და ხიზნობის მებნელი შესთანხმდნენ გარდასახადის რაოდენობაზე, შეუძლებელი იყო გარდასახადის გადიდება. შეცვლა პირობისა, სიტყვის გატეხა, აბუჩად იგდება ხიზანთა ჩვეულებისა პროტესტს იწვევდა ხიზნისას და საქმე სამედიატოროდ გახდებოდა ხოლმე. დამახასიათებელი და ნიმანდობლივი თვისება ჩვენის ხიზნობისა ი სწორედ ეს უცვლელობა და შეურყევლობაა ერთხელ ნაკისრის გარდასახადისა, ბეგრისა და მოვალეობისა.

ძველს საქართველოში და რუსობის დროსაც, ვიდრე ვახტანგ მეფის კანონებს აპკვეთავდნენ (1841 წ.), ხიზნები ისე ვერ გამრავლდებოდნენ, როგორც გამრავლდნენ იგინი ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ. კანონის ძალით თავისრფალი წოდების ხიზანი პირის თავისუფლებას უნდა გამოსთხოვებოდა, თუ კი ოცდა ათი წელიწადი სხვის

მამულში დარჩებოდა. ესევე ბედი ეწეოდა ხაგ-კლესიო და საბატონო კაცს და სახაზინო გლეხს. ოღნერის დროს მამულის პატრონი შემოხიზულ კაცს დავთარში ჩაწერინებდა თავის საკუთარ ყმად და ამ გვარად ხიზნობას მოსპობდა, ხოლო ძველი ბატონი, ხაზინა და ეკლესია-მონასტერი უფლებას დაპირგვავდა კანონის წინაშე და უკან ვეღარ თაბრუნებდა თავის ყმას ეს ხერთო სახალხო ოღნერანი და დავთრებში მოქცევა იყო მიზეზი, რომ მებატონენი ბეჯიად ეძებდნენ მათ უნებურად სხვაგან გადახვეწილ ყმებს. ჭართლ-კახეთი სავსე იყო გაქცეულ და გაპარულ ყმების მაძგარ თავაღ-აზნაურობით. ყმებს ადვილად არც ხაზინა და ეკლესია-მონასტერები დასტობილენ და ისინიც მუდამ ძიებაში და ძებნაში იყვნენ.

ნათქვამიდან ირკვევა, რომ ურთიერთობა ხიზნისა და მამულის პატრონის შეეხებოდა მხოლოდ მამულით სარგებლობის პირობას, რომ ხიზნობის ინტიტუტი აღმოცენდა ეკონომისტ ნიადგზე, რომ სახიზნო პირობა და ხელშეკრულობა, სიტყვიერი იყო იგი, თუ წერილობითი, ვადიანი, თუ უვადო—იყო ჩვეულებრივი საიჯარო პირობა იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ როდენობა, ზომა გარდასახადისა არ იცვლებოდა. უვადო პირობის დარღვევა ჩვეულების ძალით შეეძლოთ ორთავე კონტრაგენტს, როცა ამას მოისურვებდნენ და როცა ამას მათი ინტერესი მოითხოვდა. პირობის დადების დროს და შემდეგ, ვიდრე ასეთი პირობა მოქმედობდა, ბატონ-ყმურ ურთიერთობას ადგილი არა ჰქონდა, რადგან თუ ასეთის ურთიერთობის ჩამოგდებას მოისურვებდა ბატონი, ხიზანი გაექცეოდა, ხიზანი თავისუფლებას შაშინ ჰქარგავდა, თუ ოცდაათ წელიწადზე მეტს დაპყოფდა ერთს აღგილზე. ამ გარემოებით ისარგებლებდა მამულის პატრონი და ყმად ჩაწერინებდა დავთარში საერთო ხალხის ოღნერის დროს.

ამ უბრალო და მარტივის ურთიერთობის ბრალია, რომ ხიზანი მამულის პატრონს არას ედავებოდა, არ უჩიოდა და არც მამულის პატრონი სჩიოდა ხიზანზე. თავაღ-აზნაურობამ პირდაპირ უთხრა უმაღლეს მთავრობას საგლეხო რეფორმის განხილვის დროს (1853 - 1864 წ.): „ყველას მოეხსენება, რომ ხიზანი არავითარ გაჭირვებას და შეწუხებას არ განცდის თვის ყოფა-ცხოვრებაში; ისიც მოეხსენება, რომ ხიზნის პიროვნება არაა შელახული და დამკირებული. ხიზანსა და მამულის პატრონის შორის არსებობს ტკბილი განწყო-

ბილება და მეზობლობა, რომელსაც რაზეც და-ლად აფასებენთ“. ამის გამო ურჩიეს შოვერობას, ყმა-გლეხის ბედიც ისე მოაწყეთ, ტოგოურულებიზნების ბედით მოწყობილი ადათით შემჩენებულია.

ბალტიის ზღვის პირად მდებარე სამს გუბერ-ნიაში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს (1816 წ.) სწორედ ისე მოაწყო რუსის მთავრობამ ყმის ბედი. მიანიჭეს პირადი თავისუფლება სახლ-კარი და ეხო მისცეს საკუთრებად. რუსის რეფორმატორებს არ მოსწონდათ ეს რეფორმა. განა შეიძლება გლეხის განთავისუფლება უმაღლოდ, ხომ ქვეყანა პოგანო ერით გაიცემა?

ბალტიის კუთხის საგლეხო რეფორმას საოცა-რი შედეგი მოპყვა. ესტისა და ლატვიშის უნარმა მძლავრად იჩინა თავი. რაյი ბატონ-ყმობის შონუ-რი ჯაჭვის რეოლი დაირღვა, საოცარი მხნეობა გა-მოიჩინა, განვითარდა, გაფარდა ცხოვრებასთან ბრძო-ლაში. დღეს, ასის წლის შემდეგ, ლამის პირქვე დაამხონ ძეველი ბატონები — გერმანიის ბატონ-გრა-ფები და მოქალაქენი. ქ. რეველი უკვე გამოპევლი-ჯეს ხელიდან გერმანიის ბიურგერებს და იმ დრო-საც მაღლ მოვესწრებით, რომ ნახევარ მილიონიან რიგასაც წაართმევენ და გუშინდელნი ყმანი რიგის თვით მართველობას სათავეში მოექცევიან.

ჩვენ ვერ გავბედავთ, ვერ ვიტუვით, რომ ჩვენ-შიაც ის მოხდებოდა, რაც მოხდა ბალტიის ზღვის ნაპირებზე, მაგრამ არც ისეთი სასაცილოა ქართვე-ლი ფეოდალების რჩევა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ჩვენშიაც და რუსეთშიაც დროებით-ვალ-დებული გლეხი მაგრად მივაბით ერთ ნაკუწა მი-წას, ხელ-ფეხი შეუკარით განთავისუფლებულს კაცს და ეკონომისტი ყმობის ულელი დავადეთ კისერზე. თუა ვინმე საზრუნავი დღეს ჩვენშიც და რუსეთ-შიაც, აი სწორედ ეს განთავისუფლებული კაცია.

ამიერ კავკასიის ცენტრალურმა კომიტეტია ჩრდილი ვერ შიაუენა ქართველ თავაღ-აზნაურობის ნათქვამსა, რომ ჩვენა და ხიზნები კეთილ განწყობი-ლებაში ვიმყოფებითო, ვერ უარმყო, რომ ხიზნე-ბი დაჩიგრულები არ არიან. კომიტეტმა დაიწუნა ფეოდალების რჩევა სხვა მოსაზრებით. განთავისუფლებ. ყმის ბედი ისე რომ მოვაწყოთ, როგორც ხიზნები-საო, მაშინ გლეხის მდგომარეობა მკვიდრ საფუ-ველზე არ იქნება აშენებულით. ისე მოწყობილი გლეხი სახელმწიფოს პირიანი და სამსახურს ვერ ვაუწევს.

დღესავით ნათელია კომიტეტის აზრი. ნაყმევ გლეხზე კი არა სჩანს მჩრუნველობა, არამედ სა-

ხელმწიფო ფისკებ და თუ დაიწუნა ფეოდალების რჩვა, დაიწუნა იმიტომ, რომ ექვი შეეპარა, ვით თუ რეფორმის შემდეგ გლეხმა ჯეროვანი სამსახური ვერ გაუწიოს სახელმწიფოსა და ვით თუ გადასახადი რიგიანად ვერ აძლიოს ხაზინასა:

მაშინდელმა ტფილისის გუბერნატორმა კ. ივ. არლოვსკიმ შეითვისა ქართველი — თავად აზნაურობის აზრი ხიზნობის შესახებ და მაშასადამე ამ აღმინისტრატორმაც დაამტკიცა და დაამოწმა ის იდეოლოგიური სურათი, რომელიც ბატონებმა გადაუშალეს ცენტრალურ კამიტეტს. არლოვსკი ამბობდა, რომ დროებით-ვალდებული ურთიერთობა ბატონსა და ყმობილან გამოსულ გლეხისა ისე მოვაწყოთ, როგორიც არსებობს ხიზანსა და მამულის პატრონის შორის. „ხიზნები სცხოვრობენ, ამბობს არლოვსკი, ისეთის უწყინარის პირობებით, რომ მთავრობის არ მოსვლია და არც ამ ემადაა იქვე არც ერთი საჩივარი არც ხიზნისა მებატონებებ და არც მებატონისა ხიზანზეო.“

არლოვსკის სიტყვით, 1861 წლის ცნობებით, ტფილისის გუბერნატი სულ 5938 კომლი ხიზანი ყოფილა... ამ ვენდობით ამ ციფის, რადგან ის ტორიულ ხიზანთა რაოდენობის სისწორით გამოანგარიშება მეტის-მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელი. ეხლა რომ არა გვაქვს ქრისტიანული სტატისტიკა, ამა მაშინ რა იქნებოდა, სამოციან წლებში. რესების დამკვიდრების დროს ხომ თითქმის ამ არსებობდა რიგიანი აღრიცხვა ხალხისა წოდების მიხედვით. ბატონ-ყმობის გადავარდნამ დიდად შეუწყო ხელი ხიზნების რიცხვის გამრავლებას. რაკი დამშლელი აღარივინ ჰყავდა მცირე მამულიან მთას, განსაკუთრებით სამაჩაბლოს, იხუვლა მთამ და ბარში ჩამოვიდა, აქედან მოედო საციციანოს, საჯავახოს და საფალავანდოს. 1885 წელს თავადი გიორგი ივანეს ძე ყიფიანი ამბობდა, რომ მომეტებული ნაწილი ხიზნებისა მთიდან ჩამოსული მაჩაბლიანთ ყმა-ოსები და იმერლები არიანთ. საშმობლოში გრამოტით ნადელები მიიღეს და აქ ხიზნობა დაიჩემესო. ამათ ყველის უნდა უარი ეთქვას ხიზნობაზეო. ნამდვილი ისტორიული ხიზანი ძალიან ცოტაა. თუ მორიგებით ვერ მოურიგდებიან ჩამულის პატრონს, მაშინ სახელმწიფომ სახაზინო მიწები უნდა დაურიგოს საცხოვრებლად, ხოლო მამულის პატრონმა უნდა დააჯილდოვოს ხიზანი ჩვეულებისაშებრო.

საყურადღებო ამბავი აქ, სხვათა შორის, ისიცაა, რომ თავად-აზნაურნი ხშირად ეუბნებოდნენ

მთავრობას, — კარგად მოგეხსენებათ, რომ / მამული ჩვენც ცოტა გვაქვს და ხიზნებს რაოდ მოგეტო, აიღეთ და გადაასიხლეთ სახელმწიფო მიწაზე. შთავრობა მუდამ ყურს იყრუებდა, ვითომ მარტივად გამიგონიათ და პასუხს არ აძლევდა. ასე რომ არც პირდაპირ ნათქვამს და არც ნართაულად გადაკრულს სიცეის ანგარიშს არ უწევდა და ერთხელაც არ მოისურვა ხიზნობის ტალღისათვის პირი ექმნა სახელმწიფო მამულებისაკენ.

1890 წელს მარტო გორის მაზრაში ირიცხვბოდა მთავრობის ცნობით 7148 კომლი ხიზანი, 1882—1884 წლებში კი 6774 კომლი; მაშინობითი სქესისა იყო 25.706 სული, მავასადამე 50.000 სულზედ მეტი ორივე სქესისა. 1884 წლიდან მოკიდებული გორის მაზრაში წელიწადში 500 კომლი ხიზანი ემატებოდა. აი სწორედ ამ დროს აირია მონასტერი. ხიზანთა აბობოქრებული ზღვა სწორედ წალეკვას უქადდა ქართლსა.

რაკი დაახლოვებით გამოვარკვიეთ, თუ რას წარმოადგენდა ისტორიული ხიზანი და ხიზნობა, აღმოცენებული ისტორიულ ნიადაგზე, და როგორი ურთიერთობა იყო მათსა და მამულის პატრონის შორის, ახლა ისიც ვნახოთ, თუ რა ხერხი და ლონე ღლონა აღმინისტრაციამ ამ ინსტიტუტის გასამუქებლად და გადასაწყვეტად და გავითვალისწინოთ ის გარემოებანი და დრო-ჟამი, თუ როგორ ხელოვნურად მრავლდებოდა ისტორიულ ხიზნის ნატამალზე ახალი ტიპის, მთიდან მოსული ხიზანი.

აღ. ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება).

უგანასკნელი ამბები

ხიზანთა ბედი.

როგორც გადმოვცეს ნამესტნიკის საბჭოს საბოლოოდ განუხილავს ხიზანთა საკითხი და გაუდუშებელია: ჩიეცეს ხიზნებს მთლად ის სახნავი მიწები, რომელნიც დღევანდლამდე ფაქტიურად მათ ხელში უჭირავთ.*) გამოსყიდვა ამ მამულებისა ხიზნების მიერ, დამკიდებულ იქნება იმაზედ, თუ რამდენს სახიზნო იჯარის იხდილნენ მემამულეს სა-

*. ამ რიგად ნამესტნიკის საბჭოშ ყვილა „დემოკრატების“ მოთხოვნას გადააჭარბა.

სარგებლოდ წელიწადში. რაც შეეხება მათ საძოვრებს და ტყეებს, საბჭოს გადაწყვეტილება არ ეხება ამას; ეს საკითხი გამოყოფილია და ჯერ-ჯერობით დარჩენილია ძველი წესი, ე. ი. ისევ სერვიტუტები. ეს გადაწყვეტილება მეტად უცნაურად უნდა ჩაითვალოს და თუ იგი კანონად იქცა, ბევრს ირანორმალურ მოვლენას გამოიწვევს.

უცნაურია იმ მხრივ, რომ ძალზედ გაჭირებულს დროებით ვალდებულ გლეხეცაცს, რომელნიც ძველიც უშებად იყვნენ და მაშასადამე უფლებრივ და ეკონომიკურად მეტად შევიწროებულნი და დაჩაგრულნი, ვისი ნათელით და ნაამგდარით შექმნილი იყო დღევანდელი საქართველოს მეურნეობა, ახალმა—კანონმა პარტია ნადელები ჩამოუჭრა.

ხოლო ხიზნობა, მოსული ელემენტი, ნაწილი ნებაყოფლობით დასახლებული, უდიდესი ნაწილი კი ძალით შემოვრილი სხვის კერაზედ, მოურიდებლიც იკალათებს საუკეთესო მამულებზე, იმ მხარეში, რომლის წინაშე არავითარი სამსახური არ მიუძღვის არც წარსულში და უმეტესად ხომ არც აწმყოში; და ი აღვილობრივი მთავრობა უცნაურად განსაკუთრებულ მხრუნველობას უწევს მათ, შედარებით ქართლის ნახევარზედ მშიერ დანარჩენ გლეხეცაცან და სრულ ბატონ-პატრონად ჰქმის მათ სანიზნო მამულებში.

ამ რიგით, მკვიდრ დროებით ვალდებულ გლეხეცაცანის ესპობა იმედიც კი, შეეძინა საკუთრებად ხიზნების ზედ-მეტი მამული. ძალაში დარჩენილი სერვიტუტთა უფლებანი ხიზნებისთვის აბანდებენ მთელს მათ მიერ ნახმარს მამულს და ის მიწის ფონდი, რომელიც შეეძლო დროებით ვალდებულ გლეხეცაცანს შეექმნა ხიზნებისგან მეტობრივ ნაკერ მიწებისაგან, გაეწ-გამოეწია, გაშლილიყო და ცოტად მაინც დაახლოვებოდა მიწის რაოდენობით ხიზნებს, შეუძლებელი ხდება.

ახალი კანონ-პროექტით ხიზნების მიერ მამულის გამოსყიდვა ხდება მამულის შემოსავლის მიხედვითაც. თუ რას წარმოადგენს ეს მუხლი კანონ პროექტისა და რა გვარ უთანასწორობას ჰბადავს თვით ხიზნებშიაც ამ გვარი გამოსყიდვის წესი, ის ამის მაგალითი: საჯავახოში 25 კომლს ხიზანს უჭირავს—600 დესეტინამდე მამული და მემამულეთა გულ-კეთილობის, თუ ხიზანთა თავგასულობის გამო, სულ იხდიან...—25 მანეთს წელიწადში. თუ მოვახდენთ კაპიტალიზაციას ამ 25 მან.—6%, დავინახავთ, რომ ამ შამულის ფასი 600 დეს. სულ ყოფილა=418 მ. 33 კ., ისე რომ ამოდენა მა-

მულს ხიზნები თითქმის მთლად მუქმად /შეიღებენ. იმ დროს როცა მიგალითად, საკულინოში, იქ სადაც ყოველივე ჩხირს, ხიზნებენ ქუპრილს, თავისი ფასი აძვეს, შემოსავალი რესტრიტუტულიდი და გამოსყიდვა აქ ხიზნებისთვის საზარილო იქნება. ამ რიგით ახალი კანონ-პროექტი ნაწილს ხიზნობისას ამდიღებს, მუქდად ურიგებს მამულს, ხოლო მეორეს ანგრევს, მიწასთან ასწორებს. ამასთან ნავე იბადება მთელი წყება პროლეტარიატისა ყოფილ მემამულეთაგან, რომელნიც ახალ კანონ-პროექტის ძალით და სერვიტუტების შერჩენით მთლად უმამულონი რჩებიან.

ი გაკვრით შინაარსი ახალ კანონ-პროექტისა ხიზნების შესახებ, რომელიც ჯერ-ჯერობით შემუშავებულია ნამესტნიკის საბჭოში და როდესაც იგი გამოქვეყნებულ იქნება, ჩვენ მის დაწვრილებით განხილვას კვლავ დავუბრუნდებით.

სომხების გადმოსახლება: გაზეთი „მშაკი“ იწერება, რომ უკანასკნელ დროს მრავალი სომხობა გადმოდის თასმალეთიდან იმიერ კავკასიაში. ბევრი მათგანი ყარსის ოლქში ბინავდება და მთავრობაც მათ ხელს უწყობს. კი ნაწილი ამ გადმოსახლებულ სომხობისა თბილისში ჩამოვიდა და აქ აპირობენ დასახლებას. ვერის საცემენტო ქარხნებამ სამუშაო კიდეც გაუჩინეს და მამაკაცები მუშად მიიღეს.

ახალი რკინის გზა. „მთავრობის ახალ გზების კომისიაშ“ გადასწყვიტა მიეცეს თავად ჩოლაკაშვილს, ლიანოზოვს და გადომსკის ახალ რკინის გზის კონცესია. ეს გზა უნდა აშენდეს ბორჯომიდან—ყარსამდის პატარა შტოთი დაბა თლითისზედ.

აღდგომის კვირაში თბილისის ქართული სამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი, მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, ემგზავრება კონცერტების გასამართვად დასავლეთ-საქართველოს ქალაქებში: ჭიათურას; ქუთაისს, ბათომს, და სხვ. გუნდში მონაწილეობას იღებს 25 კაცი ეროვნული ტანსაცმელებით.

რედაქციაშ მიიღო ი. გრიშაშეილის ახალი წიგნი: „ბროლის ღიმილი“, ლექსები ურიოთმოდ. წიგნი ლამაზია როგორც შინაარსით ისე გარეგნულად.

ლეიტენანტ შმიდტის თანაშემწე. იმერეთში პოლიციას „მეუპყრია ვინმე ცერცვაძე, რომელიც რამდენიმე წელიწადგა სხვა და სხვა ყაჩალთა ბრძობში იღებდა მხურვალე მონაწილეობას. დატუსაღების შემდეგ იღმოჩნდა, რომ იგი ყოფილა აჯანყებულ გემის „პოტიომკინის“ მეზღვაურიად გვარად სომანაიშვილი. ისიც გამოირკვა, რომ სომანაიშვილი იყო მარჯვენა ხელი და თანაშემწე ცნობილ ლეიტენანტ შმიდტისა, რომელიც აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მთავრობის მიერ დახვრცილი იყო.

ახალი სახელმწიფოთა კავშირი. შვეიცარიულები ამ ხანად დიდ აგიტაციას ეწვევიან მახატი სახელმწიფოთა კავშირის მოსაწყობად. ამ კავშირში უნდა შევიდნენ ოთხი პატარი საჭარბეტიფრამცშევიცარია, ბელგია, დანია, პოლანდია. ხსენებულ კავშირის მიზანია სხვათა შორის გადაუდგეს გერმანის საიდუმლო ზრახვათ მშვიდობის დარღვევისა, ევროპაში ომის გამოწვევით.



ილია ჭავჭავაძის ძეგლი მამადავითზე.

მცირე რამ გახცეადება

ჩემს მახსოვრობაში, მე ძვირად მინახავს ჩვენში, ისეთი თავ-დადებული, გულ-წრფელი და ბუნება-თანახიარი მოღვაწე, როგორიც იყო ვანო მაჩაბელი. თუ კი საღმე დაინახავდა, სახოგადო კარგს, გინდა მტრის ხელიდანაც ყოფილიყოს (უნებურიად) გამოსული, ალტაცებით მიეგებებოდა და ივიწყებდა პირადობას, ვერც კარგსა და ვერც ავს გულ-გრილად ვერ აუფლიდა გვერდს, რომ თავთავისი საკა-

ლრისი პასუხი არ მიეცა. დიახ, დიდი ბუნება-თანაზიარი კაცი იყო და მიტომაც გახდა მისი შსხვერპლი.

ჩვენ, ქართველები, ახირებულები ვართ: არა თუ ნამდვილს, წარმოდგენილ-მოღვაწეებსაც კი ზედ-მეტად ვეგებებით და ცამდი ავვყავს ლხინით, ლვინით და კეცა-კეცა სიტუაციით! და სიკვდილის შემდეგ, ხომ საზღვარი აღარა აქვს ჩვენს ფართი-

ფურისა და უნაყოფო ხარჯსა.. არც პირველი და არც მეორე არ ლირსებია ვანო მაჩაბელს... სიკოცხლეში როგორც მებრძოლს, და მერე კი, როგორც ჩვენთვის უცნაურიდ და არგულს: ჯერ კიდევ გადაწყვეტილი ვერ გვითქვამს: მკვდარია თუ ცოცხალი? ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც პირშავად ვრჩებით მის სახსოვარის წინაშე და, რომ ეს უმაღურობა თავიდან ავიცილოთ, ერთი რამით უნდა აღვნიშნოთ. ჩემის აზრით ყველაზედ უკეთესი ძეგლი ის იქნება, რომ გამოიცეს მისი ნათარგმნი შექსპირი და რამდენიმე ათასი ეგზემპლარი ძალიან იაფ-ფასიანი მიეწოდოს ქართველობას. ეგება ვინ-მემ იკითხოს: თანხა სად არისო? და იმ ჩვენი პასუხი: ყველაზ, ვანოს თანამგრძნობლებმა, ძალდაუტანებლად, მხოლოდ თავისის სურვილით, რომ მცირე წვლილი გამოილოს არა უმეტეს თითო მანეთისა (ნაკლები კი შეიძლება), შესდგება მისთანა თანხა, რომელიც ეყოფა გამოცემას. და რაც მორჩება და მეტი იქნება, ის მოხმარდეს, რომელსამე საქველ-მოქმედო საქმეს მის სასახელოდ, მაგალი-თად ავიღოთ, თუ გინდა, ზეპირ-სიტყვაობის მოგ-როვება, რომელსაც ისე თანაუგრძნობდა ვანო მაჩაბე-ლი. *)

აკაკი.

შოთა რუსთაველი

შოთა რუსთაველის ბედი პირველი და უკანას-კნელი არ არის. იგი ეკუთვნის მწერალთა იმ რიცხვს, რომელთა შესახებ ხალხმა ცოტა რამ უწყის. ის-ტორიამ ბევრი რამ შეუსაბამობა იცის. იგი იხსომებს ხშირად ვინმე სისხლის მსმელის და ცეცხლის წამ-კიდებელის მთელ თავგადასავალს, უხვია ცნობებით მათ შესახებ, მაგრამ ძალიან ხშირად ძუნწია ისეთ დიდ პიროვნებათა შესახებ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ისე ბრწყინავენ, როგორც სვეტი ნათელი. განა იმავ მდგომარეობაში არ არის საკითხი შექსპირის ვინაობისა? ინგლისში წელიწადი ისე არ გაივლის, რომ იმ მწერლის შესახებ ახალი გა-მოკვლევა არ გამოვიდეს და რამდენჯერ გადაუყე-ნებით შექსპირი იმ ტახტიდან, რომელზედაც იგი სდგას. მაგრამ ყველასთვის ერთი რამ კი ცხადია — შექსპირი, ან ავტორი უკვდავ ტრაგედიებისა სცხოვ-რობდა ელისაბედის ხანაში.

ჩვენში საკითხი შოთა რუსთაველის ვინაობისა

გართულებულია იმითაც, ვითომ ავტორი „ვეფხის ტყაოსნის“ თამარის თანამედროვე ან იყვ. ვინც შეეჩინა იმ აზრს, რომ შოთა რუსთაველი თამარის თანამედროვე და მისი მებოტბეა, მასთვისთვის შემცირებულია სეთი ეჭვის მონელება. ქართული კულტურა არა-უერს და კარგი გვითქმა მით, რომ შოთა რუსთაველი მე-თოთხმეტე საუკუნის მწერალი იყოს. ჩვენი წარსუ-ლი უფრო შევძლება ცადა ჰგავს, რომელზედაც ვარ-სკვლავთა ხომლებს სამ თხო აღვილასა აქვთ თავი მოყრილი. სხვა დანარჩენი აღვილი წყვდიადით არის მოცული და ვინ იცის, იქნებ ჩვენი წარსუ-ლისთვის კიდევაც სჯობდეს ამ ხომლის გაფანტვა; მაშინ ყოველი საუკუნე თავის მნათობს მიიღებს. მაგრამ სხვა არის ამ ხომლის გაფანტვა, სულ სხვა არის ერთი ვარსკვლავის გატეხა, რომ იგი, ორად ქცეული, კი სხვა და სხვა სიგრძე სიგანეზედ დაკ-კიდო. ამ რით აიხსნება, რომ როდესაც შოთა რუსთაველის თამარს აშორებენ, ჩვენზედ ისეთ შოთ-ბეჭდილებას ახდენს, თითქოს ყველაზედ დიდ ვარ-სკვლავს სტეხავენ.

„ვეფხის ტყაოსნის“ ყოველ მხრივი შესწავლა თონაირად უნდა ხდებოდეს. ერთის მხრივ იგი შეს-წავლილი უნდა იქმნას ისტორიული, ეს იგი რო-დის არის იგი დაწერილი და ვისგან, მეორეს მხრივ კრიტიკული, ლიტერატურული. ეს ორი მუშა-ობა ისე განცალკევებული მაქვს წარმოდგენილი, რომ მათი ერთმანეთში არევა წარმოსადგენადაც კი ძნელია. ჩვენში კი სწორედ ისე არა ხდება. ისტორი-კოსნი ხშირად მსჯელობენ იმაზედ თუ რას წარმო-ადგენს „ვეფხის ტყაოსნის“, როგორც ლიტერატუ-რული განძი და კრიტიკოსები — როდის ან ვისგან არის იგი დაწერილი. თუ მივიღებთ სხვა და სხვა-ობას იმ მეთოდებისას, რომლითაც ხელმძღვანე-ლობს ერთის მხრივ ისტორიოგრაფია და მეორეს მხრივ ხალხის ლიტერატურული კრიტიკა, ცხადია მათი ერთი მეორის სფერაში გადასვლა საკითხს უფრო არევ-დარევს.

უპირველესი საქმე თვით ტექსტის შესწავლა არის. ამ მხრივ „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ ლიტე-რატურამ უკვე ნაბიჯი გადასდგა. ა. სარაჯიშვილ-მა ბევრი ხორცმერი იპოვნა ტექსტში და გასწმინდა მათგან, დ. კარიჭაშვილი კი უფრო შორს წავიდა ამ საკითხში: მან მთლიად უარპყო მთელი შესავა-ლი პოემისა და მთელი ეპილოგი. მე ვერა ვბედავ ეს შეხედულობა სრულ ჭეშმარიტებად ვაღიარო, მით უმეტეს, რომ ჩემი აზრი, როგორც არა სპეცი-ალისტისა ამ საკითხში ავტორიტეტობა ვერ შესძენს

*) „თემი“.

კარიქატურის დებულებას. მაგრამ რომ ეპილოგის და პროლოგის საკითხს-საგნის გადაწყვეტაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, ეს ჩემთვისაც ეჭვს გარეშე.

ტექსტის ყოველ მხრივ შესწავლის შემდეგ უნდა გამოძიებულ იქმნას, თუ რა დროს არის დაწერილი პოემა. რადგან ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ არის, ეს საკითხი უფრო ძნელია, ერთი კი უეჭვოდ უნდა მივიღოთ, პოემა შექმნილია ქართველ ერის ძლიერების ხანაში. წარმოუდგენელია, რომ იგი დაწერილი იყოს დაქვეითების დროს არ არსებობს თითქმის, ისეთი გენიოსური ნაწარმები, რომელიც შექმნილი იყოს გადაგვარების, დაქვეითების და რეაქციის ხანაში. შექსპირი სცხოვრობდა ელისაბედის დროს, დანტე და პეტრარკი აღორძინების ხანაში, კორნელი და რასინი „მეფე—მზის“ თანამედროვენი იყვნენ. ასეთ საზოგადო ფაქტებს ის აუცილებელი მნიშვნელობა აქვს, რომ შეძლებას გვაძლევს ჩვენც ვეფხის ტყაოსნის შექმნა თამარის ეპოქას მივაწეროთ. ჯერ ერთი, ამის მომხრეა მთელი ტრადიცია, მეორეც ესა, თუ მოვისურვებთ სხვა საუკუნეში გადავიტანოთ შოთა რუსთაველის მოღვაწეობა, ეს ისეთის ძლიერის არგუმენტაციით უნდა იყოს დამტკიცებული, რომ ეჭვება აღარ არსებობდეს. თუ მცირეც არის ეჭვი მაინც დარჩა, ვერავითარი მეცნიერება, კრიტიკა ვერავითარი კრიტიკა ვერ შესძლებს შოთა რუსთაველი თამარის ეპოქას ააცალოს და სხვა საუკუნეს მიაკოწინოს. მაშინ თქვენ ბრძოლა მოგიხდებათ ხალხის ფსიხოლოგიასთან, რომელიც ნახევარ ჰქონდა მაღლი აუქნებს. ძველს, მაგრამ სრულს ცრუმორწმუნებას. შოთა რუსთაველის შესახებ კი ეს ცრუმორწმუნება სრულია, სავსეა პოეზიით, თაყვანის ცემით. რაფაელი მადონას მუდამ პატარა იესოთი ხატავდა, თუმცა ეს დიდ აუცილებლობას არ წარმოადგენდა სურათისათვის. ასევე ჩვენი ხალხიც, მას არ შეუძლიან წარმოიდგინოს თამარი ურუსთაველოდ, თუმცა იქნება არც იყოს ამის საჭიროება. დიდი საკითხები ხშირად პატარა მიზეზებით არიან გამოწვეულნი. ჩვენი შეცნიერნი თავებს იმტვრევენ იმის შესახებ, თუ როდის სცხოვრობდა რუსთაველი, ნამდვილად კი საჭმარისი იყო ვინმე წერაკითხვის მცოდნე ბერს პატარა ფარატინზედ დაწერა, რომ იგი თამარის თანამედროვე იყო, და საკითხიც აღარ იქნებოდა. იმ პატარა მიზეზი დიდი საკითხისა! ეს არ მოხდა და აღარ ვაცოთ რა ვქნათ, აღარ გვჯერა ხალხისა, მის

ვადმოცემისა, რომელიც ამ შემთხვევაში მაღლი უნდა იღებეს ყველა ბერ-მონაზონზედ, მის უმტკეს, რომ სხვა საბუთი არა გვაქვს. ამ რათა ვდონია, რომ ყოველი ახალი მოსახრება შეინტერესება კუთხით კი არ უნდა ეფინებოდეს საკითხს, არამედ ჰქონილებად და მხოლოდ მაშინ შეიძლება აზრის შეცვლა რუსთაველის ცხოვრებაზედ. მაგრამ აქედან იმის დასკვნა არ შეიძლება, რომ სრულიად ივკრალოთ კვლევა-ძიება. მეხი კიანკველას არ დაეცემა სწორედ ისე, როგორც არც ერთ მეცნიერს არ მოუვა აზრიდ გამოძიება იმისა თუ როდის სცხოვრობდა ავტორი ამა თუ იმ გახუნებულ ანგელოტისა. მხოლოდ შოთა რუსთაველისთანა მწერლებს შეუძლიანთ ალძრან ისეთი ინტერესი, როგორიც აქვს მას ჩვენს ლიტერატურაში და ამ მხრივ საჩვენების კავაბაძის კვლევა-ძიება იქნება შემცდარი იყვეს, მაგრამ არავის შეურაცხმულელი არ არის.

ბოლოს არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ ვინა ჰყავს გამოყვანილი ავტორს პოემაში, ან რა იქვს დახატული მას. ეს უკვე სხვა სცერის საკითხია, ეს არის საკითხი ლიტერატურულ კრიტიკისა და გემოვნებისა და უმეტესად კი თვით პოემის შეგნებისა. მწერლობაში მტკიცედ არის დაცული ის აზრი, რომ პოემაში თამარ დედოფეალია გამოხატული, პირადათ მე მომხრე ვარ იმ აზრისა, რომ პოემა დაწერილია თამარის ეპოქის ზედგავლენით. მასში მეფობს მეთორბერე საუკუნის ძლიერი სული, მაგრამ არა მგონია, რომ თინათინის სახით პოემაში თამარი იყოს გამოყვანილი. იმის საბუთი, რომ თინათინი იგივე თამარია ცოტაა და უმთავრესად კი ის ჩაითვლება, რომ თინათინიც ისევე მამის ერთა ქალია, როგორც თამარი. მამის ტახტზედ აღის ერთც და მეორეც. აქ მე მგონია უტენდენციო მსგავსებაა მხოლოდ. თინათინის „მარტოოდენ მარტო ასულობა“ საჭიროა თვით პოემის ფაბულისთვის, მიეცით თინათინს ძმა და თინათინი გაქრება პოემაში, ესე იგი გაქრება თვით პოემა. მისტიკიზმით ქალები უფრო არიან შეპყრობილნი, ვიდრე კაცები, მოჩვენებანი ქალებს უფრო ხიბლივენ, ვიდრე კაცებს და განა არაბეთის ტახტზედ თინათინის მაგივრად კაცი რომ ყოფილიყო მეფედ, იგი გავზავნიდა ივთანდილს იმ მისტიურ არსების საძებნელიდ, როგორადაც გვეჩვენება ჩვენ ტარიელი პოემის დასაწყისში? ყველაზედ მეტად ხომ თვით როსტევანი იყო შეწუხებული „უცხოსა და საკვირველ ყრმის გარდაკიდებით“ და იმავ თინათინის რჩევით მთელი წელიწადი აძგნინა მოყმებს ყმა უცხო და

საკვირველი, მაგრამ როცა ვერც მძებნელებში გაიგეს მისი ასაფალ-დასავალი, როსტევანშა ჭირი ლხინად შეიცვალა. და აქ იგი მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო ყოველი მაჩაკაცი, როგორც მისტიურ ფიქრებით ნაკლებ შეპრობილი არსება.

და აი, სწორედ ამ დროს გამოდის სამოქმედო ქალის მისტიურ ხილვით შეპრობილი გონიბა, რომელსაც გაეღვიძა სურვილი ამოცანის გამოცნობისა. მაგრამ თინათინი რომ უბრალო ქალი ყოფილიყო რას იზავდა იგი? განა ცოტა ფანტაზია აქვს ქალს, ცოტას გამოცნობა სწყურია ჩის პურუში გახვეულს გონიბას? ღირს განა ამ ცნობის მოყვარეობის დასაკამაყოფილებლად ხალხის დაქსაქსვა, მმები და სისხლის ღვრა? რასაკვირველია არა და ვერც თინათინი შესძლებდა მიზნის განხორციელების რომ არ ყოფილიყო ერთი გარემოება. ის იყო მამის-ერთა, ის იყო მეფე არაბეთისა, ბრძანებელი ყმათა და სპათა, რომელსაც წინააღმდეგ სხვა ქალებისა, თავის უზომო ცნობის მოყვარეობა შეეძლო სახელმწიფოებრივ აუკილებლობის ნილაბში გაეხვია და ისე ემოქმედნა, აემოძრავებინა ჯარები მარტო მისთვის, რომ დაეკმაყოფილებინა თავისი ქალური ცნობისმოყვარეობა; და თინათინი ასეც მოიქცა. განა შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ რაზედ უფრო მეტს ფიქრობდა თინათინი: ამ მისტიურ არსების პოვნაზედ, თუ სახელმწიფო საქმეებზედ, მიუხედივად იმისა, რომ ის დედოფალი იყო. ეჭვი არ არის, რომ იგი უცნაურ ყმაზედ უფრო ბევრს რთიქრებდა და ამ შერივ თინათინი თვით არის ავტორი პოემისა. პოემის დასაწყისში საჭირო იყო ისეთი ფსიხოლოგიური კვანძი, რომელიც შემდეგ მსვლელობაში გიგანტურ განვითარებას მიიღებდა და რუსთაველმაც ეს საკითხი ბრწყინვალედ შეასრულა. ტარიელი სულია სივრცეში მიმობნეული, თუმცა ისეთივე შეყვარებული, როგორც მომაკვდავი, საჭირო იყო მისი ძებნა მთელ ხმელეთზედ, საზღვრებს გარედა და საზღვრებს შეა და არა კაბინეტებში, სადაც იძალებიან თანამედროვე შეყვარებულნი და ამის საძებნელად კი საჭირო იყო გიგანტური ძალა და ავტორიტეტი არაბეთის სამეფოსი და არა მარტო მიმდინარე სივაჟუაც ავთანდილისა, რომელიც, აქვე შენიშნეთ, არასოდეს არ მოქმედებდა მკლავით, არამედ გონიერით და ფსიხიკის საუკეთესო (კოდნით). აი რად იყო საჭირო პოემაში თინათინი, თამარისებრ მამის-ერთა და თამარისებრ მბრძანებელი, მაგრამ არა როგორც თინათინი იგივე თამარი.

მაშ თუ პოემაში თამარი არ არის გამოყვანი-

ლი, ვინდა არის, ვის შეასხა ხოტბა რუსთაველი? იქნება არავის, როგორც არავის განსაკუთრებული ხოტბა არ არის დანტეს „ღვთიერებულებულები“, შექსპირის „პატლეტში“, და გიორგი ბატუმის „მუსტაფაში“, განა ჩვენ როდისმე მივხვდებით მიხეხს მათის წარმოშობისას? მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან სთქვას რომ ამა და ამ შეკავშირებისაგან ესა და ეს ელემენტი წარმოსდგება. აი, მიზეზი და მისი შედეგი. მაგრამ ხელოვნება კველაზედ ნაკლებ მეცნიერებაა, ჩვენ არ ვიცით მისი წარმოშობი კანონები და ხელოვნურ ნაწარმოებში გარეგან წარმოშობ მიზეზის ძებნა იგივე იქნებოდა, რაც ციხის გარედან გაღება, როცა ციხე შიგნიდან არის დაკეტილი. „ვეფხვის ტყაოსანიც“ ისეთი შიგნიდან დაკეტილი ციხეა, და მისი გასაღები მით უფრო არ ვიცით სად არის, რომ არ ვიცით ვინ იყო თვით შოთა რუსთაველი?

იბადება საკითხი რას წააგებს ვეფხვის ტყაოსანი, როგორც ეროვნული თხზულება, თუ ასე შევეხეთ საკითხს? ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბევრი მარტო მიტომ სთვლის პოემის, ეროვნულ თხზულებად, რომ სწორედ ამ მსგავსებას ჰპოვებენ შიგ. მე მგონია იგი ქართულ ნიადაგზედ აღმოცენებულად დარჩება მაშინაც, თუ უარვყავით ბიოგრაფიული ხასიათი პოემისა, ესე იგი, ის აზრი, რომ პოემაში თამარია გამოყვანილი. ჯერ ეს ერთი ასეთი აზრი თვით პოემიდან არ გამომდინარეობს და იგი დასკვნაა მხოლოდ სხვა და სხვა პირებისა და ამასთანავე დასკვნა ბოლონდელი, მაშასადამე ჩვენგან შექმნილი დასკვნა ჩვენვე შეგვიძლიან უარვყოთ ისე, რომ პოემის არაფერი დააკლდეს. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება ის არის, რომ ასეთი აზრის დაფუძნება წარმოუდგენელია მარტო ასეთ გარეგან შედარებაზედ და მიმსგავსებაზედ. ფაქტი თინათინისა და თამარის მსგავსებისა ისე მცირე მნიშვნელოვანია, რომ თუ ამ საშუალებით მოვინდობეთ თხზულების გაორიგინირება, შაშინ იმავ მსგავსების ძალით სხვებს უფრო მეტი საბუთი ეძლევათ მიითვისონ იგი, რადგან თამარის შესახებ თვით პოემაში სულ არაფერია ნათევიმი, მხოლოდ რაც შეეხება არაბეთს, ხატავეთს, ინდოეთს და სპარსეთს ამათ შესახებ კი პოემა ყოველ ნაბიჯზედ ღალადების.

ჩემის აზრით, მტკიცე გარინტიად იმისა, რომ ვეფხვის ტყაოსანი ნამდვილი ქართული ნაწარმოებია მარტო ისიც კმარა, რომ იგი ერთად ერთი თხზულებაა და ჩვენ არ ვიცით სხვა დედანი, ან სხვა

ასლი რომელიმე ენაზედ. და ესეც საკარისია, რომ საკითხი პოემის ორიგინალობისა გარდაწვეტილია ჩაითვალოს.

შ. ამირეჯიბი

მიმქრალი სულის აღსარება*)

* * *

...ოჲ, გმადლობ, გმადლობ ცივილიზაციის დედა აკანო, დიდებულო ევროპავ, შენ მე ფრიად დამაჯილდოვე! შენ გამხადე თითით საჩვენებელი ადამიანი, სწორედ ის ადამიანი, რომელიც გარყვნილ-გათანსირებულის სახელით იწოდება. შე კი იმით ვამაყობ... ჭეშმარიტად: ვამიყობ, რომ ყველას თვალში ასეთი თავისუფალი და ზნე-დაცემული ადამიანი გავხდი. ეს ერთგვარი განთავისუფლებაა საუკუნეთა სიბრიუვის მიერ ვამოქედილი ბორკილებიდან. ჩემთვის იღარ არსებობს აღარავითარი სამშობლო, არავითარი მოვალეობა, ანუ თეთრკაბოსანი იდეალი: ყოველივე ეს ჯიდი ხინია რაც ქუჩის ქალის ქმბამ გადალახა. ეს კი ვგონებ შას იქეთ მოხდა, რაც ჩემმა მეგობარმა სანდრომ კომედია გაითა. მაში და ახალ ცხოვრების პორიზონტი გადამიშალა. ქარავანი... ჯურლმული... პარიზი... ყავახინები... ღრმოს აღრიანვე ჩაკვლა, როგორც ის ჩენა გვკლიერს — აი ჩემი დევიზი. მაში ნუ გიკვირთ, თუ დედა ჩემის სიკვდილი ასე იღვილად გადავიტანე: უბედურს, რომ გაეგო ჩემი ცხოვრების სინამდვილე, ვეღარ გაეძლო, ელდას გადაეტანა... და აქ რა არის საკუირველი? ნეტარება შას! მე კი, სიკვდილის წინამორბედი იმიტომ არა ვკვდები, რომ თვით სიკვდილიც არ შემიძლიან... მსურს კვლავ ვიკოცხლო, ვიღოლო ამ მიწაზე, სნეულს მესმოდეს მიწის კვნესა, რომ მაწანწალი ვარ... მაწანწალი... უკეთეს შემთვევაში მაჭანკალა კაცი...

მაჭანკალა?

ჰა—ჰა—ჰა! რა რიგ გაგიცვირდათ! ჰა, მაჭანკალა... მაჭანკალა...

ოჲ, გმადლობ, გმადლობ დიდებული ევროპავ, დიდია ჯილდო, რომელითაც შენ დამამწყალობე! შენ შემისწავლე დათმობის გზა, შენ შასწავლე რომ ყოველისფერი სიცრუეა... რა მოვალეობა,

რის მოვალეობა! ქუჩის ქალის ქმბა — აი ჩემი მოვალეობა! ნახეთ, გასინჯეთ კარგად, ის გვატყვით ჭეშმარიტებას... დანარჩენი კი ფიქცია, საიდუმლო, სწორედ ისეთივე საიდუმლო, როგორშეცვლილი ჩემი „შე“, რომელსაც ადამიანად მხოლოდ შენერს მართან უცნობ, რა თქმა უნდა, შიშველ სინამდვილესთან ერთად... მათთან ერთად... მათთან ერთად... ქალი, აი ჩემი მოვალეობა! ქალი, აი საიდუმლოების გასაღები! ქალი, აი ის აზრი, რომელსაც დავეძებთ მხოლობის დანგრეულ ნავთხაყუდარზე! ქალი, აი საუშინელების სახეობა, როგორც საიდუმლო უფსკრულის ტალღები, რომელსაც ასე რიგიდ აბობოქრებს მძაფრ ფიქრთა ქარიშხალი!.. ფიქრთა ქარიშხალი... ჩვენ ფიქრთა მძაფრი ქარიშხალი!..

ოჲ, ეს ადამიანის გონება რა რიგი ლრმა, გამოურკვეველი უფსკრულია!

* * *

...მაგრამ მე ხომ სრულიად დალუბული არ ვიყვავი. მაჭანკლობამა და მაწანწალობამ შემაჩინა ეინიანი დათმობა იმ თვალ უუშუნებთან, ვისთანაც არა თუ თქვენ, არამედ თვით უკიდურესი ტვინმებისტერიც კი თავის პორტფელს საცენზურო კომიტეტს სთხლიშავს თავში, რომ ათროთოლებელი ვნებით შესცემოს ამა თუ იმ ვალსის დროს კონტად გაკეთებულ ანტრაშას, მაშინ როდესაც იგივე ცენზორ-მეისტერი ტვინს მოგწოვთ, პორნოგრაფიად დაგიხსახავს იმავე სურათის აღწერილობას და თქვენს ნამუშევარს, რაზედაც ვინ იცის, იქნებ დღე და ღამეც ათიეთ, აუტო და ფეს მოლობს შესწირავს. კიდევ კარგი რომ მწერალი არა ვარ და მათი ბრჭყალები ვერას მავნებენ. მე თავისუფალი დილეტანტი ვარ, რომელიც თვითონ აწყობს საკუთარ ცხოვრებას თავის გემოვნების მიხედვით. აი, მაგალითად, ჩემს თათხში შემოსვლისას მარცხენა კედლის წინ შიშველი სინამდვილის სურათია, რომელსაც უცნობია მხატვარმა „პარიზის ნახევარი მსოფლიო“ უწოდა. არა, ამ სურათის შემსრულებელი შესცდა. უნდა მოეწერა: „მსოფლიოს სული და გული“. არა, დააცემერდით ამ სურათს და მაშინვე მიხედვით, თუ რა არის სიშიშვლე! სიზმრად სანატრელი სანახობა! ხომ ხედავთ, ვნება ჩაკლული მიწოლილია ფარჩის სიწოლზე, გადაღელილი, ქარვასივით სავსე გულ-მკერდი დათრობისაგან მოთეთქვილი სხეული... არა, ეს ასე უბრალო, საღა, ყველისათვის ნაცნობი და იმავე ღრმოს ასე შორეული, ჩვეულებრივ ცხოვრებაში რაღაცა გაუგებარ მიზეზების გამო დამალული და თითქო დაშორებული სიტურფე!

*) იხ. „კლდე“ № 9, 10, 11, 12, 14 და 15

უჯერებელია! ჩა არის მაღონა, რომელიც ცხოვ-
რებაზე ისევე შორის სდგის, როგორც ჩუმი უმწიკ-
ვლო ოცნება უამნობანის დროს, როდესაც ჯერ კი-
დევ ნორჩი ვიყავი. ეხლა კი არ არის საჭირო მა-
ღონა... საჭიროა სინამდვილე, სანატრელი სიშიშვ-
ლე... ამა, შეპხედეთ ამ სურათსა, დააკვირდით მას
ვნება-დამკვდარს ლიმილს, მის სხეულის ყოველ
ნაკვთს... ეხლა მესმის, თუ დორი რას მოხოვდა მა-
შინ, ან რად მოხოვდა... ბრძან თვალი ამეხილა...
ოჰ, რომ შემეძლოს... რომ შემეძლოს... ამირანის
ძალით აღვიკურვებოდი, რომ ცოდვილ კაცობრიო-
ბისოფის დამებრუნებინა მისი დაკარგული დიადი გა-
ნდი. ცხოვრებას მოსწყდა სიშიშვლე და მით დაიკა-
რგა მისი ლირებულების გვირგვინი... ჩვენ შევკე-
რეთ უხეში ტომრები, სიტურფე იგი გამოვახშეთ
და რაღაც ფენიქსად გარდავქმნით, ველით დამეს...
სანატრელ ლამეს... რომ მაშინ მაინც დავიკიროთ
იგი... ვიხილოთ მისი მშვენება, გახდის პროცესის
დროს... და... სიყვარულიც ხომ ამ პროცესს აღარ
სცილდება...

ჰა—ჰა—ჰა! სიყვარული... სუკირული... ნუ-
თუ? . ამ პროცესს ჰქვიან ეს სახელი, გახდის პრო-
ცესსა?... და რატომ, რატომ?..

თქვენც კითხულობთ: „ჰო რატომ? რატომ?+
თქვენც თანხმობას უკხადებთ, ლოლიკაც შესაფერს
ადგილს პპოვებს, რომელიც ლაღად ჰყოფს, რომ
ადამიანის გონება და სხეული ერთი და იგივე იყოს.
ჩვენ კი ცხოვრების პარმონია დისპარმონიად გარ-
დავქმნით, რასაც ჩვეულებრივი განგაშით ცივილი-
ზაციას ვუწოდებთ... განათლებას!..

ჰა—ჰა—ჰა! ცივილიზაცია!..

ოჰ, შეიყენეთ... შეიყენეთ ამ ვეშაპის ეტილის
ბორბლები! არ გეხსით?! შეაყენეთ, თუ არა გსურთ
უველა აჩრდილად გარდაიქცეთ, როგორც ეხლა
მე... .

* * *

.. მაგრამ ეს ხომ უტოპიაა!

უტოპია!

ოხ, ტყინი შეყინება ანის გახსენებაზე... ირ-
გვლივ საშინელებაა... ისეთი საშინელებაა, როგორიც
სუფევს შენავის გარშემო, როდესაც ქარბუქი ნავს
დაუმსხვრევს და ერთის ანძის ანაბაოდ დასტოვებს
ესმის სტიქიონის საშინელი კენესა, ესმის სიკვდი-
ლის ძახილი, თმა უთეორდება, მაგრამ ანძის წვერს
მობლაუჭებული მაინც ხსნას ელის, თუმცა კარგად
იცის, რომ მოელი ბრძოლა ამაოებასთან შეტაკებაა,
მეც ამ ანძის წვერს არ ვცილდები... მწყურის სი-

ცოცხლე... მომეცით ხელი... აღმაღვინეთ... ამ საში-
ნელებას... გამაცალეთ... გამაცალეთ და დამარტინ-
ნეთ, რომ შეიძლება ადამიანი ბედნიერი იყოს. / მე
ვარ... მე... ვხედავ მხოლოდ შევუწყებულების. ცეცხლ.. თუით გაზაფხულის უბედულების-დამტკიცების, ის გაზაფხული, როდესაც იმღებების ნექტა-
რით სავსე ფიალს გვაწვდის ხელში, როდესაც
ვარსკვლავებით მოჭედილ კას წარბ შეუხრებულიდ
შევურებიდი და კი ვერ შევძელ ჩე აფრენა მზეთა-
შის სამეფოს გასაცნობად! ან და რად მოხდა, რომ
შეის სხივმა იცვალა ფერი? რად შემეცვალა ძო-
რეული შავ-ბნელ ძაძებად? ან რას დაუეცებ თვალ-
უწვდენელ უდაბნოს გულში?

მაგრამ... ქვეყანავ, უმაღურო, სიბერწე ჰქვიან
თესლისა შენსა!...

* * *

. ნეტავ წყევლა მაინც შემეძლოს...

არა, კვლავ ნატვრა... ოჰ, რომ შეიძლებოდეს
დედის აჩრდილის გამოწვევა!.. ოჰ, დედა, დედა...
სად ხარ, სადა... მარტო ვარ, მარტო სარეცელზე...
ყრუ უდაბნოდ გარდაექმნა შენ შვილის სოფელი...
ოჰ, დედი, დედი! რად არ მიშლილი იმ დროს ტი-
რილის, როდესაც ძუძუს გთხოვდი? რად არ შემას-
მინე ეს ძვირფასი საუნჯე ამ დღისთვის შემენახა,
რომ ეხლა მაინც ცრემლთა ნაკადში ნუგეშინის
ნავი მეპოვნა! ოჰ, რომ შეგეძლოს გამოცნადება,
რომ შეგეძლებოდეს წარსულ დღეთა გამობრუნება,
გწემდეს დედილო, შენ შეილს კალავ აჩუქებდი
ქვეყანასა და დაკარგულს. ბედნიერებას... ის იწი-
ნასწარმეტველებდა, განახლებული წარსდგებოდა,
ამ მიმქრალ სულად არ გარდიქმნებოდა... ან შენ
სადა ხარ, ანგელოზო, შენ, ვინც ერთ დროს ღმე-
რითთა აჩსებობაში შარწმუნებდი... შენ ხომ გიყვა-
რდა ჩემთან ცქრიალი, ჩემთან ცელქობა, სიკისკა-
სე... ხომ გახსოვს, როდის ამოკირჩის ჩემს ანგელო-
ზად? თქვენს თეთრს საყდრის წინ... მის ახლად იგე-
ბულ საკურთხეველის წინ... არც ეხლა გახსოვს?
გაგონდება?.. შენს პატარა დებს ახალისებდი, ცო-
ცხალ სურაუებს აჩვენებდი, შენ შუაში იღექი
და ქერუბიმად დასდგომოდი... გახსოვს, ჰო ვა-
სოვს? მე შემოგყურებდი, გნატრო-ლი და ჩემს სულ-
ში აღგვეცე ჩემს საღმრთო ქურუნად, რათალოც-
ვით მომებართა ხოლმე. გარქვი, სად ხარ? რად არ
მშეელი იმ წამების ეამს!

— ჰო, სადა... სადა...

გამოძახილიც იმეორებს: „ ჰო, სადა... სადა... ”

ვიცი, ოკეანეა სივრცის უდაბნო, სადაც მაშ-
ვრალი სული ჩემი დახეტიალობს, მაგრამ მაინც
ვკითხულობ: „ სადა, სადა? ” — თითქოს არ ვიცოდე,

თუ სადაც არის... თითქოს არ შეხსოვდეს, რომ
მივიწყების სივრცეში დაპორენს... მაგრამ სივ-
რცეში მას რა უნდა?.. მითხარით რა უნდა?
ოჟ, თქვენ, ვისაც გქონიათ მშობლიური რა-
იცე ვრძნობა, ვისაც შეგსმენიათ საყვარელ პირმშობ-
ძახილი, გემუდარებით, დამიბრუნეთ ჩემი წირსუ-
ლი! არ გესმით? ამა, ზეციურ ზარებს მოვხსენი ენა
ერთად ვაგუგუნებ და გემუდარებით, მომეცით ჩე-
მი სიყმაწვილე... დამიბრუნეთ სიცოცხლე... ენა
აუხვით ჩემს მუნჯს ქურუმს, ნუ სდგის ასეთი ცივი
მეტყელებით .. მსურს, მარადისობის საკურთხევ-
ლის წინ კვლავ მან აღმიგზნოს გული ჩემთა ლოც-
ვათა ცეცხლით... თქ ნუ მიშრობთ სიცოცხლის
სარკმელს, ნუ, ნუ... აპხადეთ კრეტსაბმელი, აპხა-
დეთ! სარეცელზე მწოლიარეს მსურს ერთხელ მოგ-
კრა თვალი... მხოლოდ ერთხელ... ერთხელ ვიხი-
ლო ის მწევრვალი, სადაც ოდესმე სული ჩემი დაჭ-
ქროდა ლალად, სადაც ვმწყემსობდი, დილის
ლოცვას შევწირავდი უხილავ ღმერთებს, სა-
დაც განვიცდიდი აწ დაკარგულს ბეჭნიერებას,
სადაც ტყე-ღრეზედ ბინდით მოცული ნაპრალთ
უბეზე, თვით ელვის მტყორცნელ ლრუბლებზედაც
მაღლა ვიღექი და აღვინთებოდი საღმრთო ცეც-
ხლით, რათა მწვერვალიდან ეამნობნის დროს დაუ-
შვებულიყავ და ცოდვილ კაცთა ნათესავისთვის
მიმეცა სითბო!.. მაშ გაარღვიეთ ზეწარი... აპხადეთ
კრეტსაბმელი... მომეცით სიცოცხლის ნაკადული...
მსურს, მის საიდუმლო ზღაპრებს მიუგდო ყური,
რომ ჩემი ცხოვრება მისი ნამებით გაიფურჩქნოს
და თხალ ზღაპრად აჩურჩულდეს მიმქრალ სულთა-
თვის...

მაგრამ ეს ხომ ალდგომა იქნებოდა...
ალდგომა!.. ალდგომა!.. უმჩეო ალდგომა!..
ალდგომა ყინულის უდაბნოში...

* *

... რა რიგ მეცინება, ღმერთო ჩემო, რა რიგ
მეცინება... მინდა ვიტირო, მაგრამ მეცინება... ან
როგორ არ ვიცინო, როდესაც თვითულ ფეხის
გადალგმაზე დათმობის გზას ვაღვები... ვწყევლი...
ვკვლავ... პათეტიური გატაცები ფეხითა ვსრისე
და იმავე დროს... იმავე დროს დიდი ამბებით
ქებათა-ქებას შევსწირავ მას... მევე ვთრთი...
ვთრთი, როდესაც მახსენლება ესეოდენი ეპილეპ
თიური და ისტერიული ბოდვა... ეჭიმშა რომ მო-
მისწროს... მან რომ ეს აღსარება მიპოვნოს, უმკ-
ველია, ფსიხიატრთა განყოფილებაში გადამიყვანს...
მაგრამ არა, მე მას დავასწრობ... დავასწრობ... ამ

უკანასკნელ ფურცელსაც დავათავებ და ჩემს სი-
ცოცხლეს ისე ჩავნითქავ, როგორც უკანასკნელ ცი-
გარის ლეროს...

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

2011-01-11

ლმერთო! რად მიცავს თრთოლვა ამ ერთი
სიტყვის განსენებაზე? იქნებ, მართლაც, ეს „უკანა-
სკნელი“ იყოს... იქნებ... იქნებ... მაგრამ ეს ვინ
ხარ? რას იტუზები მაგ კარებში? მომეცა, მეგობა-
რო, უნდა ეს კარი გავიარო... მაინც არ მიხვალ?..
სდუმს... ისე სდუმს, თითქოს დუმილი პირველი და
უკანასკნელი სტუმარი ყოფილიყოს ჩემს შეკითხვა-
ზე... რა გინდა ჩემგან, მეგობარო, რას მერჩი?
მოვსულვარ შორი გზიდან, საბრალო მწირი მოგ-
ზაური ვარ... გადამატარე ეს ზღრუბლი... რა
ვქნა, არ გსმის! მუნჯი ხარ? ყრუ ხარ?.. სულ
ერთი არის, ხმას არ იღებს... იქნებ ლოცვას მოხოვ?
ჰორ? აჸა, ვემხობი შენს წინაშე, ვემხობი და ისე
ვლოცულობ, ვით ეს შეუძლიან ავადმყოფ სულსა.
კიდევა სდუმხარ?.. ბრიყვი, სულელი! გათამამდა...
ჩამოდექი, ჩამოდექი შე ბრიყვო მაწანწალავ! ჩამო-
დექი, თორემ ახლავე დაგატყვევებ... ამ ფრჩხილე-
ბით ყელს გამოგლადრი... არა გჯერა... სსუთ...
ის ინძრევა... კარებს აღებს... ავერ... ავერ... შე-
მოდის კიდევც...

... ፩፻፭፶ ...

三

P. S. ეს ხელთნაწერი დაუმთავრებელი აღსა-
რების სახით წაართვა ექიმმა უერმმა ერთს ახლად
გადმოხვეწილს, რომელიც ავი სენით იყო შეპყრო-
ბილი. ავადმყოფი საქალაქო საავადმყოფოში გა-
დიყვანეს. ექიმი სრულს იმედს იძლეოდა, ავად-
მყოფს მალე ძალლონე დაუბრუნდება და შესაძლე-
ბელი იქნება მისი სამშობლოში დაბრუნებაო. მაგ-
რამ სრულიად მოულოდნელია უბედურობა დატ-
რიალდა: ლაშით ავადმყოფს თავი ისე დაეხრჩო
ზეწრით საწოლის ფეხთან, რომ მორიგ „დასაც“
კი ვერაფერი გაეგო. ხელთნაწერი განსვენებულისა
ექიმმა მის თანამემამულეთ გადმოგვეცა, რასაც მისი-
ვე თხოვნით ვაქვეყნებთ კიდეც.

8. კასრაძე.

ქართულ გულტურის მოქაბლეურ კრებაზე

(3. ინგოროვას რეფერატი).

ჩ. ს. აპრილს ქ. კ. მოკ. კრებაზედ წაიკითხა მოხსენება პ. ინგოროვამ: „როდის სცხოვრობდა შოთა რუსთაველი“

ძალა-უნებურად ებმის პ. ინგოროვას შინაარსიანი რეფერატი ს. კაკაბაძის გამოგონილ პიპოტების, ვითომ რუსთაველი მე-XV საუკუნის მწერალი იყვეს და ვეფხვის ტყაოსანს, არ არსებულ აფხაზთ—დედოფალს უძღვიდეს, არ არაებული დავითის ბრძანებით. ეს პოლემიკური ხასიათი რეფერატისა დღიული ასახსნელია იმ აღმფოთებით, რომელიც გამოიწვია საზოგადოებაში, კაკაბაძის უდიერმა გაკილვამ ჩვენ გველევართა და მეცნიერთა, მაგრამ ასეთს სერიოზულ თემას ახალგაზრდა მეცლევარისაგან მეტი სიღინჯე ეჭირვებოდა. მით უფრო საჭირო იყო განდევნა საქამათო ხასიათის ადგილებისა, რომ რეფერენტს ძვირფასი მასალა ჰქონდა კაკაბაძის თეორიის სრულად გასაბათილებელი. გარდა ვეფხვის-ტყაოსანის ტექსტის ყალბ ადგილების ჩვენებით, რომლებითაც ბატ. კაკაბაძეს განსაკუთრებით გადაჭქნდა შოთა რუსთაველის დრო მეთოთხმეტე საუკუნეში, ახალგაზრდა რეფერენტს ნამდვილი მეცნიერული კვლევის მეთოდები შეუთვისებია და ისტორიულ პერსპექტივისთვის ერთად, უტყუარი ისტორიული საბუთებიც მოჰყავდა თავის დებულებათა დასამტკიცებლად. ეს სრულიად საქმარისი იქნებოდა ყალბ მეცნიერთა გამოსამზეურებლად.

თვით რეფერატი იმდენად ძვირფასს მასალის შეიკვედა, ისე მთლიანად იყო შემუშავებული ყოველმხრივი განმტკიცება მთავარი აზრისა,—რომ შოთა რუსთაველის პოემა აღმოცენდა სწორედ თავმარ მეფის დროს,—იმდენს საბუთს იძლეოდა კაკაბაძის ფანტაზიის გასაფინტივად, რომ დაწვრილებით ყველაფრის გადმოცემა შორს წაგვიყვანდა.

კაკაბაძის მტკიცება, ვითომ რუსთაველი სარგის თმოგველის, მოსე ხონელის და სხ. შემდეგ სცხორობდა, აშენებული თვით ვეფუტყ. ტექსტზედ, სრულიად გაბათილდა იმით, რომ ეს ადგილები ტექსტისა შერყვნილია, მერე, მინაწერი უცნობ ავტორისაგან და, ესეც რომ არა ყოფილიყო, ლოდიკურად შეუსაბამოა, ავტორი თავის თავზე და სხვებზეც ერთნაირად მესამე პირით ლაპარაკობდეს. ამრიგის სხვა მოსაზრებათა შორის აღსანიშნავია, რომ სარგის თმოგველის ფაბული ვერ დაედებოდა სარჩულად ვეფხვის ტყაოსანს, რადგან თვით ტექსტიც და არჩილ მეფის მოწმობაც ამტკიცებს, რომ იგი

(ამბავი) თმოგველსა „დარჩა უთქმელად“, მაშასადამ არც ეკუთვნის მას.

რეფერენტმა ნათლად დაგვირატა სტორიის თვალსაზრისით შეუძლებლობა ვეჯებულისნის გადატანისა იმ საუკუნოებში, როდენსც მიზურულის უკუნილებელი საქართველოსი, მთელი მისი კულტურული ძარღვის ცენტრი შეწყვეტილი იყო მონვალოთა შემოსევით და იმ საშინელებით, რომელიც მათ დაატრიალეს საქართველოში. ისტორიულად შეუძლებელია შექმნილი იყო ასეთი დიადი განძი საერთ მწერლობისა მაშინ, როდესაც საზოგადოთ ცხოვრება უკიდურესად დაცემული იყო, როცა შიშს და გლოვას მოეცვა არე-მარე და მარტო მიუვალ მოებში და ტყევებში იხიზნებოდა ყოველი აღამიანი, როდესაც ბარბაროსულმა ურდოებმა წალეკეს ქვეყანა.

მეორეს მხრით, რეფერენტმა ყოველ მხრივი განხილვით, ისტორიულად, ლინგვისტური და სტილისტური შედარებით, ტექსტის სოციალურ მომენტების ინალიზით, მისი ფილოსოფიურ და თეორიულ შემეცნებათა გარკვევით — ნათელ ჰყოფილობის, რომ ეს „ძეგლი ეროვნულ შემოქმედებისა“ ეკუთვნის მეთორმეტე საუკუნეს და სწორედ თამარის მეფობის დროს, როცა ჩვენს ისტორიას ოქროს ხანა დაუდგა და კულტურულმა, სახელმწიფოებრივმა და ეროვნულმა შეგნებამ და ძლიერებამ აპოგეის მიაღწია.

იმ მხოლოდ ასეთს ისტორიულს ხანას შეეძლო შეექმნა ისეთი ნაწილმოები, რომელიც თავისი შინაარსით შედგენს დასურათებას და განსახიერებას თამარ მეფის დროისას.

დაწვრილებით აღარ გავარჩევთ რეფერატს და დაუმატებთ მხოლოდ, რომ კამათის დროს თითქმის არავის დაურღვევია რეფერენტის დებულებანი, პირი იქით უფრო ამავრებდნენ მის პოზიციას სხვა და სხვა დამატებით. მხოლოდ და კარიკაშვილმა შეიტანა ეჭვი ვეფხვის-ტყაოსანის წინასიტყვაობის დაწვრაზედ იმავ ავტორისაგან, რომელსაც ეკუთვნის თვით პოემა; მაგრამ რეფერენტმა ამაზედაც ჯეროვანი საბუთები წამოაყენა და დაამტკიცა რომ წინასიტყვაობაც იმავ ავტორისაა, მხოლოდ ზოგიერთი ადგილია შერყვნილი.

საზოგადოებამ დიდის ინტერესით მოისმინა ნიკიერ ახალგაზრდას მოხსენება და აღტაცებულის ტაშის ცემით დააჯილდოვა.

რაც.

რედაქტორ-გამომცემელი


რ. გაბაშვილი.



ბ თ ი თ ს ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

პოლიტიკური ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა
საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია
1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხა-
ბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში,
ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადალებ-გადმოლება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მივნეახოთა საზოგადოება „კახე-
თი“ დაარსდა 1894 წელს. სა-
ზოგადოებაში არის 164 წევრი. „კა-
ხეთის“ საზოგადოების წევრების პრცე-
866%, დასატინა ვენახი, საიდამაც
უზიდავოდ საზოგადოებას ნაგ-
დვილ კახურ ღვინოს!

ქალა მრთობაში!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადო-
ების წევრებად და ამით დაიხსენით
თქვენი სარჩო-საბადებებელი სირაჯ-
ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან
ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და
საქმეში მონაწილეობით. ყოველ კა-
ხელისთვის ფრიად სასარგებლო
„საზოგადოების“ გაფართოვება—
გაძლიერება, მისი წევრების გაძლიე-
რების და გამდიდრების მომასწავე-
ბელია.

უკანასანილ დროს საზოგადოების
საზოგადოების მოადგინებელი და მკმიდნად
დაზიანებულია.

მოითხოვთ საზოგადოების
წევრება.